*დანართი №1*

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**
ქართული სალიტერატურო ენის  სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
9-16 მარტი, 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი
7 მაისი, 2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ....................................................... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა................................................... 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი.................................... 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ........................................................................................................ 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.................................................................................................... 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ........................................ 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა....................................................................... 24

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.................................................. 30

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზაალ კიკვიძე<br>არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ქართული სალიტერატურო ენა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Georgian Literary Language |
| უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, 19. 12. 2019 N260 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | |

2 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ცვლილება არ შესულა. პროგრამის მიზნები ფორმალურად თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებაზე ქართველურ ენათმეცნიერებაში.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძენილი ღრმა და სისტემური ცოდნით, გამომუშავებული უნარ-ჩვევებითა და ღირებულებებით წარმატებით შეძლებს დასაქმებას ან სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია კომპლექსური და სისტემური ცოდნის ფლობა შესაბამის დარგში — ქართველურ ენათმეცნიერებაში, რაც შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურისათვის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაცია – ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი, პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ზაალ კიკვიძე (თავმჯდომარე), ნინო პოპიაშვილი (წევრი), და 2026 წლის მარტში ამ მიზნით განხორციელდა სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, თუმცა დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს (19. 12. 2019). 2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის ვადების განსაზღვრის მიზნით, 2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის #739908 ბრძანების დანართის შესაბამისად პროგრამას შეეცვალა აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი და ამჟამად არის 28/02/2030. 2021 წელს შემუშავდა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც სავალდებულო დოკუმენტია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების საგანმამათლებლო პროგრამებისათვის. აგრეთვე, 2025 წელს მიღებული კანონის, სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის შესახებ, შესაბამისად, ცვლილეები შევიდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ამოცანა იყო, შეესწავლა როგორც შესრულებული რეკომენდაციები, აგრეთვე, შეესწავლა პროგრამა ბოლო წლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვითაც. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანი იქნებოდა, პროგრამას ჰქონოდა განახლების შესაძლებლობა, მათ შორის, სტრუქტურის, სასწავლო კურსებისა და თემატიკის მიმართულებით, თუმცა 2026 წელს საქართველოს უმაღლეს განათლებაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებისა და რეფორმების გათვალისწინებით ვლინდება, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მილევად რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

რჩევები შეეხება წარმოდგენილი პროგრამის გაუმჯობესების შესაძლებლობას არსებული სტრუქტურის ფარგლებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არსებითად თანხვედრაშია პროგრამის დეკლარირებულ მიზნებთან. სწავლის შედეგების ფორმულირება ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად და, ზოგადად, შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისათვის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესაბამის დარგში — ქართველურ ენათმეცნიერებაში — მნიშვნელოვანი, თანამედროვე და პროფესიულად რელევანტური ცოდნის მიღებას. სასწავლო გეგმა მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო კომპონენტებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას. მისი სტრუქტურა შეესაბამება ჰუმანიტარული მიმართულების თანამედროვე სწავლების ძირითად პრინციპებს და სწავლების ინტერდისციპლინურ ხასიათს.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საჭირო პირობებს.

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მესამე სტანდარტი არ შეფასდა

მეოთხე სტანდარტი სტანდარტი  შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეხუთე სტანდარტი არ შეფასდა

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, განხორციელდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის ოპტიმიზაცია შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები; ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია-2 (მორფოლოგია); ქართული ენის ისტორია და დიალექტოლოგია; ქართველური ონომასტიკა; აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები.
  - 

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- კარგი იქნება, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამის დოკუმენტს, რომელიც დაეფუძნება აკრედიტაციის სახელმძღვანელოში რეკომენდებულ მეთოდოლოგიას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

  - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატური ენის" სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერონალი: სულ 8 სპეციალისტი, რომელთაგან 2 პროფესორია, 1 ასისტენტ პროფესორი და 5 მოწვეული ლექტორი.

  - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია ორი აფილირებული პროფესორი, რომელთაც აქვთ შესაბამის სფეროში სათანადო სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.
  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

---

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოდგინა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „ქართული სალიტერატურო ენა“ თაობაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვთ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

## III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შეფასება |
|---|---|---|
| **1.** | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | აირჩიეთ შესაბამისი |
| 1.1 | პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია |
| 1.2 | პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია |
| 1.3 | პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |
| 1.4 | საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია |
| 1.5 | სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია |
| **2.** | **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | აირჩიეთ შესაბამისი |
| 2.1 | პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია |
| 2.2 | პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია |
| 2.3 | სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია |
| 2.4 | სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია |
| **3.** | **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | აირჩიეთ შესაბამისი |
| 3.1 | სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | აირჩიეთ შესაბამისი |
| 3.2 | მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა | აირჩიეთ შესაბამისი |
| **4** | **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | აირჩიეთ შესაბამისი |
| 4.1 | ადამიანური რესურსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 4.2 | მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | შესაბამისობაშია |
| 4.3 | აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია |
| 4.4 | მატერიალური რესურსი | შესაბამისობაშია |
| 4.5 | პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | აირჩიეთ შესაბამისი |
| **5** | **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | აირჩიეთ შესაბამისი |
| 5.1 | შიდა ხარისხის შეფასება | აირჩიეთ შესაბამისი |
| 5.2 | გარე ხარისხის შეფასება | აირჩიეთ შესაბამისი |
| 5.3 | პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | აირჩიეთ შესაბამისი |

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ცვლილება არ შესულა. პროგრამის მიზნები ფორმალურად თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებაზე ქართველურ ენათმეცნიერებაში.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძენილი ღრმა და სისტემური ცოდნით, გამომუშავებული უნარ-ჩვევებითა და ღირებულებებით წარმატებით შეძლებს დასაქმებას ან სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია კომპლექსური და სისტემური ცოდნის ფლობა შესაბამის დარგში — ქართველურ ენათმეცნიერებაში, რაც შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურისათვის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაცია – ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი, პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეცვლილა; ისინი ჩამოყალიბებულ იყო და არის სამ ძირითად კომპონენტად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რაც შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრულ სტანდარტებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეიცვალა მხოლოდ მათი ფორმულირება (სწავლების შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში და გამოყენებულია აქტიური ფორმის ზმნები), რითაც შესაბამისობაში მოვიდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

სწავლის შედეგები ძირითადად, ჩამოყალიბებულია როგორც რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი; ისინი უმეტესწილად თანხვედრაშია პროფესიულ მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს — ქართველური ენათმეცნიერის აკადემიურ ხარისხს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები (დანართი 2.2.)
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ეფუძნება შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, ფილოლოგიის დარგის სპეციფიკასა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების ფარგლებში გამოიყენება სასწავლო კურსების მიმდინარე (კვირეული), შუალედური და დასკვნითი საგამოცდო შეფასებები, ასევე საპრეზენტაციო ნაშრომების, საკურსოებისა და სხვა აკადემიური დავალებების შეფასება. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს მიეკუთვნება პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, სტუდენტთა გამოკითხვები და სხვა უკუკავშირის მექანიზმები. პროგრამის სამიზნეები განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგისათვის.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში გაითვალისწინებულია მათი პერიოდული შეფასების პროცესი. პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აფასებს როგორც პროგრამის მიზნების, ისე სწავლის შედეგების მიღწევადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასბის ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგბი (დანართი 2.2.)
-

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კარგი იქნება, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სწავლის შედეგების შეფასების შესაბამის დოკუმენტს, რომელიც დაეფუძნება აკრედიტაციის სახელმძღვანელოში რეკომენდებულ მეთოდოლოგიას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა არის თანამიმდევრული და ლოგიკური და შეესაბამება

მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ზოგადად, უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს; აქედან 90 ECTS კრედიტს შეადგენს პროგრამის სასწავლო კომპონენტები, რომელთაგან 75 ECTS კრედიტი არჩევითი კურსებისათვისაა განსაზღვრული (შესაბამისად, 15 ECTS კრედიტი არჩევით კურსებს ეთმობა). 30 ECTS კრედიტი პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისათვისაა გამოყოფილი.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მთლიანობაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მიზნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- „ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- „ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასაწავლო გეგმა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი ასახულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ინსტრუქციებისა და რეგულაციების, აგრეთვე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" მოთხოვნების გათვალისწინებით.

სილაბუსები, როგორც წესი, იძლევა ადეკვატურ ინფორმაციას სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსის, მეთოდებისა და სტრუქტურის შესახებ. ისინი უნიფიცირებულია და თითოეულ კურსს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი (+ 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომისათვის).

ზოგიერთ სილაბუსში (ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები; ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია-2 (მორფოლოგია); ქართული ენის ისტორია და დიალექტოლოგია; ქართველური ონომასტიკა; აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები) ლიტერატურის ჩამონათვალი მეტისმეტად ბევრ ერთეულს შეიცავს, რაც არაპრაქტიკულობისა და, შესაბამისად, არარეალისტურობის შეგრძნებას აჩენს; ეს განსაკუთრებით ეხება სავალდებული ლიტერატურის ჩამონათვალს. მათი ოპტიმიზაცია აამაღლებს სილაბუსების ეფექტურობას და სტუდენტებს დაეხმარება სასწავლო მასალის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში, დროისა და რესურსების ეფექტიან დაგეგმვაში, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხის ამაღლებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- „ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- „ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასაწავლო გეგმა

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, განხორციელდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის ოპტიმიზაცია შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები; ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია-2 (მორფოლოგია); ქართული ენის ისტორია და დიალექტოლოგია; ქართველური ონომასტიკა; აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (ქართული ენა და ინგლისური ენა) შედეგების საფუძველზე, ასევე საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობების შესაბამისად.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებსაიტზე (gu.edu.ge) დაინტერესებულ პირს აწვდის დეტალურ ინფორმაციას ხელმისაწვდომი სამაგისტრო პროგრამების, მიღების ვადების (მათ შორის, რეგისტრაციის, გამოცდების ჩატარების თარიღების, შედეგების გამოცხადების, გასაჩივრების ვადების, ხელშეკრულების გაფორმების, ბრძანების პროექტის მომზადების) შესახებ, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ წარსადგენი საბუთების ნუსხა, მისაღების საგამოცდო კომისიებისა და საპრეტენზიო საბჭოების შემადგენლობა, მიღების წინაპირობები, მისაღები სამაგისტრო გამოცდების საკითხები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის მკაფიოდ განსაზღვრული, გამჭვირვალე და სამართლიანი. ჩარიცხვის პირობებისა და პროცესის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია.

